ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1605397

ნომერი: AR1266166

თარიღი : 17.11.2014

გაცემის თარიღი : 20.11.2014

გაცნობის თარიღი : 20.11.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ლუბლიანა , N 21 , (ნაკვეთი 08/007) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- დავით აფრიდონიძე პ/ნ 60001042042
- თბილისი ქვიშხეთის ქ. კორ. 5 ბ. 7

ორგანიზაცია:
- შპს "წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფო" კოდი: 202901832

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების

წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით საჩრდილობლის მოწყობასთან ერთად ასევე ხდება სარდაფში ჩასასვლელი კიბის და მოაჯირის მოწყობაც რაზედაც კიდევ ერთხელ განგიმარტავთ, რომ აღნიშნული სამუშაოები გარკვეულწილად უკვე განხორციელებულია, ასეთ შემთხვევაში “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისთვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ, ან წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდეს უნებართვოდ დაწყებული მშენებლობის დემონტაჟი, გადაუღეთ ახალი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და წარმოადგინეთ ზედამხედველობის სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი აქტი.

ამას გარდა გაითვალისწინეთ ვინაიდან სარეკონსტრუქციო სამუშაოები ეხება სარდაფში ჩასასვლელს შესაბამისად ნომენკლატურაში მითითებილ ნომენკლატურასთან ერთად დამატებით აირჩიოთ "ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი - ქმედებები რეკონსტრუქცია" და "შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი- ქმედებები რეკონსტრუქცია" და შეავსოთ შესაბამისი ველები, რისთვისაც გეძლევათ ნომენკლატურის ცვლილების საშუალება და შესაძლებელია ისარგებლოთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით.

გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 30 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.